თბილისი, 2006 წლის 3 ოქტომბერი

## *სს „საქართველოს ბანკი“ „HBK Investments“-ისგან 25 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის სესხის მიღების შესახებ აცხადებს*

დღეს საქართველოს წამყვანმა უნივერსალურმა ბანკმა, სს „საქართველოს ბანკმა“ (GSE: GEB) გამოაცხადა იმის შესახებ, რომ ხელი მოაწერა 25 მლნ აშშ დოლარის ოდენობის ათწლიანი კონვერტირებადი სუბორდინირებული სესხის შესახებ ხელშეკრულებას „HBK Investments“-თან. „HBK Investments“ მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი ინსტიტუციონალური ინვესტორია და მართავს 10 მლრდ აშშ დოლარზე მეტ აქტივებს.

სესხის მთლიანი თანხა უკვე მიღებულ იქნა „საქართველოს ბანკის“ მიერ. სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 4%-ს (ოთხი პროცენტი). სესხის პირობების თანახმად, „HBK Investments“-ს აქვს ოპციონი ორი წლის განმავლობაში გადაცვალოს კონვერტირებადი სესხი „საქართველოს ბანკის“ აქციებზე 20%-იანი პრემიით ლონდონის საფონდო ბირჟაზე „საქართველოს ბანკის“ აქციების (სადეპოზიტარო ხელწერილების, ე.წ. GDR) განთავსების ფასთან მიმართებაში. „საქართველოს ბანკს“ აქვს ოპციონი წინასწარ დაფაროს სესხის თანხა კონვერტაციის პერიოდის გასვლისთანავე ან სესხის გაცემიდან ხუთი წლის შემდეგ. ამ გარიგებით „საქართველოს ბანკმა“ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ იგი აღიარებული მსესხებელია კაპიტალის საერთაშორისო ბაზრებზე.

„საქართველოს ბანკისთვის“ ეს გარიგება ამ წელს რიგით მეხუთე მოზიდული სესხია საერთაშორისო საფინანსო ბაზრებზე წამყვანი ფინანსური ინსტიტუტებისგან. დღეისათვის „საქართველოს ბანკის“ კრედიტორთა სია, უკვე „HBK Investments“-თან ერთად, მოიცავს „WorldBusiness Capital“-ს, „Citigroup“-ს, „Merrill Lynch“-ს და „Thames River Capital“-ს, ხოლო აღნიშნული კომპანიებიდან მოზიდული დაფინანსება ჯამურად 90 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს. „საქართველოს ბანკის“ ეს მორიგი წარმატება დასტურია იმისა, რომ კაპიტალის საერთაშორისო ბაზრებზე ბანკმა თავი დაიმკვიდრა როგორც აღიარებულმა მსესხებელმა.

„მოხარული ვარ, რომ წარმატებით ვაგრძელებთ ჩვენი საზედამხედველო კაპიტალის გაზრდას. ეს გარიგება აგრეთვე ნიშანდობლივია იმით, რომ პირველად ქართულმა ბანკმა მიიღო კონვერტირებადი სუბორდინირებული სესხი. ჩვენ მოხარული ვართ, რომ სესხი, რომლის გაცემაზეც რამდენიმე მხარემ გამოხატა ინტერესი, „HBK Investments“-სგან მივიღეთ, რომელიც „გალტ & თაგგარტ სიქიურითის“ ერთ-ერთი საუკეთესო ინსტიტუციონალური კლიენტია“, აღნიშნა სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ, *ლადო გურგენიძემ.*

---

**„საქართველოს ბანკის“ შესახებ**

სს „საქართველოს ბანკი“ ქვეყანაში წამყვანი უნივერსალური ბანკია. ბანკს გააჩნია სამომხმარებლო საბანკო პროდუქტების ფართო სპექტრი, რომელთა გაყიდვა და გავრცელება ხდება ბანკის ფილიალების ფართო ქსელის მეშვეობით. ბანკი კორპორატიულ კლიენტებს სთავაზობს კომერციულ და საინვესტიციო საბანკო მომსახურების ფართო არჩევანს. ამასთანავე, ბანკის მიერ შესყიდული სადაზღვევო კომპანია „ბისიაი“ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს (ახალი ბრენდის *ჩემების* მეშვეობით) სადაზღვევო პროდუქტების ფართო სპექტრს სთავაზობს. 2006 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით ბანკის აქტივებმა 849.6 მილიონი ლარი შეადგინა, ხოლო კაპიტალი 135.7 მილიონ ლარს გაუტოლდა. 2006 წლის პირველ ნახევარში ბანკის კონსოლიდირებულმა წმინდა მოგებამ 11.0 მილიონი ლარი შეადგინა. ბანკს გააჩნია B-/B; პოზიტიური პერსპექტივა „FitchRatings“-გან, B3/NP უცხოური ვალუტის და Baa3/P-3 ადგილობრივი ვალუტის რეიტინგები სტაბილური პერსპექტივით „Moody's“-გან და B+/B; სტაბილური პერსპექტივა „Standard & Poor's"-გან.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით:

| | | |
|---|---|---|
| ***ლადო გურგენიძე,*** სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე | +995 32 444 103 | lgurgenidze@bog.ge |
| ***ირაკლი გილაური,*** გენერალური დირექტორი | +995 32 444 109 | igilauri@bog.ge |
| ***ირაკლი ბურდილაძე,*** გენერალური დირექტორის მოადგილე | +995 32 444 111 | iburdiladze@bog.ge |
| ***მაკა ეკიზაშვილი,*** ინვესტორებთან ურთიერთობების ხელმძღვანელი | +995 32 444 256 | ir@bog.ge |
| ***თეა ჯოხაძე,*** დაფინანსების ხელმძღვანელი | +995 32 444 192 | tjokhadze@bog.ge |